ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032607271-03
თარიღი: 13.03.2026 15:49
ვადა: 13.04.2026

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01260722625 განცხადების თარიღი: 13.03.2026
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

 33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032607271-03
13.03.2026 : 15:49
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01260722625**
თარიღი: **13/03/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ ,,„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის № 33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი: 15 გვერდი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 26.413.443
12 / მარტი / 2026 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75–ე მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტისა და 79-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ანდრია ბასილაიას.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

<u>დანართი</u>

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №---
2026 წლის --
ქ. თბილისი

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის № 33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.
შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის № 33-141 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 04/01/2016, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.35.101.016242) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის“:

1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2. სააგენტოს მიერ პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების ერთჯერადი ტრანსპორტირების საფასური შეადგენს:
ა) ძაღლის, კატის შემთხვევაში – 2 ლარს – 1 კილომეტრის მანძილზე, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური – 5 ლარი;
ბ) წვრილფეხა პირუტყვის შემთხვევაში – 4 ლარს – 1 კილომეტრის მანძილზე, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური – 5 ლარი;
გ) მსხვილფეხა პირუტყვის შემთხვევაში – 6 ლარს –1 კილომეტრის მანძილზე, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური – 10 ლარი.“.

2. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

,,2[1]. სააგენტოს მიერ პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების ლეშის ერთჯერადი ტრანსპორტირების საფასური შეადგენს:
ა) ერთი ერთეული ძაღლის შემთხვევაში 60 ლარს, კატის შემთხვევაში – 40 ლარს, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური – 5 ლარი;
ბ) ერთი ერთეული წვრილფეხა პირუტყვის შემთხვევაში – 60 ლარს, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური – 5 ლარი;
გ) ერთი ერთეული მსხვილფეხა პირუტყვის შემთხვევაში – 180 ლარს, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური – 20 ლარი.“.

3. მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,გ) საჭდის (,,საყურე ნიშნის“) მიმაგრებას.“;

ბ) მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,გ) საჭდის მიმაგრება:
გ.ა) თავშესაფარში - 3 ლარი;
გ.ბ) მისამართზე - 16 ლარი.“;

გ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

4. 6[1] მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,4. სააგენტოს მიერ ცხოველების დაჭერა-გაყვანის საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად:
ა) ძაღლის დაჭერა-გაყვანა - 60 ლარი;
ბ) კატის დაჭერა-გაყვანა - 50 ლარი;
გ) მსხვილფეხა პირუტყვის დაჭერა-გაყვანა - 150 ლარი;
დ) წვრილფეხა პირუტყვის დაჭერა-გაყვანა - 100 ლარი.“.

5. 6[2] მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,6. სააგენტოს მიერ, რეპელენტით ტერიტორიის დამუშავების საფასური, სამუშაოების კატეგორიების მიხედვით, ერთი კვადრატული მეტრის ფართობზე განისაზღვრება შემდეგნაირად:
ა) პირველი კატეგორიის სამუშაოები – 1 ლარი;
ბ) მეორე კატეგორიის სამუშაოები – 2 ლარი:“.

გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,7. სააგენტოს მიერ ამ მუხლის მიზნებისთვის ქვეწარმავლების დაჭერის საფასური შეადგენს 30 ლარს ერთ დაჭერილ ქვეწარმავალზე.“.

6. 6[3] მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2. სააგენტოს მიერ ვეტერინარული მომსახურების საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად:
ა) სტერილიზაციის ოპერაცია – 100 ლარი;
ბ) კასტრაციის ოპერაცია – 80 ლარი;
გ) ანტირაბიული ვაქცინაცია:
გ.ა) თავშესაფარში – 20 ლარი;
გ.ბ) მისამართზე - 40 ლარი;
დ) კომპლექსური ვაქცინაცია:

დ.ა) თავშესაფარში – 30 ლარი;
დ.ბ) მისამართზე – 50 ლარი.“.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების

განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს" საქმიანობის ჯეროვნად და ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ აქტში (სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს" მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ დადგენილებაში) ცვლილებების შეტანა.

სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს'' შეუფერხებელი საქმიანობისათვის საჭიროა სხვადასხვა საგნებისა თუ საშუალებების გამოყენება, რომელიც გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ადრე დადგენილი ფასები დღევანდელ რეალობას ვეღარ პასუხობს და საჭიროებს გარკვეულ ცვლილებებს, რათა სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს'' მიერ საქმიანობა განხორციელდეს ჯეროვნად და ეფექტიანად და სააგენტოს მიერ გაწეული ხარჯები დაიფაროს სრულად.

დადგენილების მიღების მიზანია ისეთი სამართლებრივი საფუძვლის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს'' მიერ საქმიანობის ეფექტურ და ჯეროვან შესრულებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ცხოველთა პოპულაციის ეფექტურ მართვას.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

წარმოდგენილი პროექტის მიზანია შეიცვალოს და დაზუსტდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ცალკეული მომსახურების საფასური, რათა სააგენტომ უზრუნველყოს კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის ჯეროვნად და ეფექტიანად შესრულება.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტში, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-141 დადგენილებაში, შედის შემდეგი სახის ცვლილებები:

სააგენტოს მიერ პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების ერთჯერადი ტრანსპორტირების საფასური: ძაღლის, კატის შემთხვევაში 1 კმ განისაზღვრა 2 ლარით, წვრილფეხა პირუტყვის შემთხვევაში - 4 ლარით , მსხვილფეხა პირუტყვის შემთხვევაში - 6 ლარით, ხოლო ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური ძაღლის, კატის და წვრილფეხა პირუტყვის შემთხვევაში განისაზღვრა- 5 ლარით, ხოლო მსხვილფეხა პირუტყვის შემთხვევაში - 10 ლარით. ასევე პროექტით დგინდება სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს'' მიერ პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების ლეშის ერთჯერადი ტრანსპორტირების საფასური და განისაზღვრა ერთი ერთეული ძაღლის შემთხვევაში 60 ლარით, კატის - 40 ლარით, ამას დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური 5 ლარი, ერთი ერთეული წვრილფეხა პირუტყვის შემთხვევაში 60 ლარით, ამას დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური 5 ლარი, ხოლო ერთი ერთეული მსხვილფეხა პირუტყვის შემთხვევაში 180 ლარით, ამას დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური 20 ლარი.

დადგენილების დანართში ამოღებულ იქნა სიტყვა ,,ყურზე'', რადგან საჭდის (,,საყურე ნიშნის'') მიმაგრება ზოგიერთი ჯიშის ძაღლის შემთხვევაში არ არის შესაძლებელი. ასევე სრულად ამოღებულ იქნა პუნქტი, რომლის მიხედვითაც თავშესაფრის მესაკუთრის/მფლობელის სურვილის შემთხვევაში და წინასწარი განაცხადის საფუძველზე სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს'' მიერ კერძო თავშესაფარში

შეყვანილი ცხოველების იდენტიფიკაცია ხორციელდებოდა უსასყიდლოდ. ასევე შეიცვალა სააგენტოს მიერ ცხოველების დაჭერა-გაყვანის საფასური და განისაზღვრა ძაღლის შემთხვევაში 60 ლარი, კატის - 50 ლარი, მსხვილფეხა პირუტყვის - 150 ლარი, წვრილფეხა პირუტყვის - 100 ლარი.

დადგენილების დანართში სრულად ამოღებულია მე-6[2] მუხლის მე-4 პუნქტის ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტები და ამავე მუხლის მე-6 პუნქტის ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტები, რადგან ამ ფუნქციების განხორციელება სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს'' კომპეტენციას არ განეკუთვნება. შეიცვალა სააგენტოს მიერ, რეპელენტით ტერიტორიის დამუშავების საფასური, სამუშაოების კატეგორიების მიხედვით, ერთი კვადრატული მეტრის ფართობზე, კერძოდ, პირველი კატეგორიის სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 1 ლარით, მეორე კატეგორიის სამუშაოები - 2 ლარით.
შეიცვალა სააგენტოს მიერ ქვეწარმავლების დაჭერის საფასური, რომელიც, ნაცვლად 20 ლარისა, შეადგენს 30 ლარს ერთ დაჭერილ ქვეწარმავალზე.
ასევე შეიცვალა სააგენტოს მიერ ვეტერინარული მომსახურების საფასური, კერძოდ სტერილიზაციის ოპერაციის საფასური განისაზღვრა - 100 ლარით, კასტრაციის ოპერაცია - 80 ლარით, ანტირაბიული ვაქცინაცია თავშესაფარში - 20 ლარით, მისამართზე - 40 ლარით, კომპლექსური ვაქცინაცია თავშესაფარში 30 ლარით ხოლო მისამართზე - 50 ლარით.

ზემოაღნიშნული ცვლილებების პროექტით შეიცვალა სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს'' მიერ გაწეული მომსახურების საფასურები და დაკონკრეტდა და დაზუსტდა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-141 დადგენილება.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №---
2026 წლის --
ქ. თბილისი

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის № 33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის № 33-141 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 04/01/2016, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.35.101.016242) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის“:

1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. სააგენტოს მიერ პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების ერთჯერადი ტრანსპორტირების საფასური შეადგენს:

ა) ძაღლის, კატის შემთხვევაში – 2 ლარს – 1 კილომეტრის მანძილზე, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური – 5 ლარი;

ბ) წვრილფეხა პირუტყვის შემთხვევაში – 4 ლარს – 1 კილომეტრის მანძილზე, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური – 5 ლარი;

გ) მსხვილფეხა პირუტყვის შემთხვევაში – 6 ლარს –1 კილომეტრის მანძილზე, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური – 10 ლარი.“.

2. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

,,2[1]. სააგენტოს მიერ პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების ლეშის ერთჯერადი ტრანსპორტირების საფასური შეადგენს:
ა) ერთი ერთეული ძაღლის შემთხვევაში 60 ლარს, კატის შემთხვევაში – 40 ლარს, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური – 5 ლარი;
ბ) ერთი ერთეული წვრილფეხა პირუტყვის შემთხვევაში – 60 ლარს, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური – 5 ლარი;
გ) ერთი ერთეული მსხვილფეხა პირუტყვის შემთხვევაში – 180 ლარს, დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური – 20 ლარი.“.

3. მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,გ) საჭდის (,,საყურე ნიშნის“) მიმაგრებას.“;

ბ) მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,გ) საჭდის მიმაგრება:
გ.ა) თავშესაფარში - 3 ლარი;
გ.ბ) მისამართზე - 16 ლარი.“;

გ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

4. 6[1] მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,4. სააგენტოს მიერ ცხოველების დაჭერა-გაყვანის საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად:
ა) ძაღლის დაჭერა-გაყვანა - 60 ლარი;
ბ) კატის დაჭერა-გაყვანა - 50 ლარი;
გ) მსხვილფეხა პირუტყვის დაჭერა-გაყვანა - 150 ლარი;
დ) წვრილფეხა პირუტყვის დაჭერა-გაყვანა - 100 ლარი.“.

5. 6[2] მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,6. სააგენტოს მიერ, რეპელენტით ტერიტორიის დამუშავების საფასური, სამუშაოების კატეგორიების მიხედვით, ერთი კვადრატული მეტრის ფართობზე განისაზღვრება შემდეგნაირად:
ა) პირველი კატეგორიის სამუშაოები – 1 ლარი;
ბ) მეორე კატეგორიის სამუშაოები – 2 ლარი:“.

გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,7. სააგენტოს მიერ ამ მუხლის მიზნებისთვის ქვეწარმავლების დაჭერის საფასური შეადგენს 30 ლარს ერთ დაჭერილ ქვეწარმავალზე.“.

6. 6[3] მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2. სააგენტოს მიერ ვეტერინარული მომსახურების საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად:
ა) სტერილიზაციის ოპერაცია – 100 ლარი;
ბ) კასტრაციის ოპერაცია – 80 ლარი;
გ) ანტირაბიული ვაქცინაცია:
გ.ა) თავშესაფარში – 20 ლარი;
გ.ბ) მისამართზე - 40 ლარი;
დ) კომპლექსური ვაქცინაცია:

დ.ა) თავშესაფარში – 30 ლარი;
დ.ბ) მისამართზე – 50 ლარი.“.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების

განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს" საქმიანობის ჯეროვნად და ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ აქტში (სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს" მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ დადგენილებაში) ცვლილებების შეტანა.

სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს'' შეუფერხებელი საქმიანობისათვის საჭიროა სხვადასხვა საგნებისა თუ საშუალებების გამოყენება, რომელიც გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ადრე დადგენილი ფასები დღევანდელ რეალობას ვეღარ პასუხობს და საჭიროებს გარკვეულ ცვლილებებს, რათა სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს'' მიერ საქმიანობა განხორციელდეს ჯეროვნად და ეფექტიანად და სააგენტოს მიერ გაწეული ხარჯები დაიფაროს სრულად.

დადგენილების მიღების მიზანია ისეთი სამართლებრივი საფუძვლის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს'' მიერ საქმიანობის ეფექტურ და ჯეროვან შესრულებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ცხოველთა პოპულაციის ეფექტურ მართვას.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

წარმოდგენილი პროექტის მიზანია შეიცვალოს და დაზუსტდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ცალკეული მომსახურების საფასური, რათა სააგენტომ უზრუნველყოს კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის ჯეროვნად და ეფექტიანად შესრულება.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტში, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-141 დადგენილებაში, შედის შემდეგი სახის ცვლილებები:

სააგენტოს მიერ პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების ერთჯერადი ტრანსპორტირების საფასური: ძაღლის, კატის შემთხვევაში 1 კმ განისაზღვრა 2 ლარით, წვრილფეხა პირუტყვის შემთხვევაში - 4 ლარით , მსხვილფეხა პირუტყვის შემთხვევაში - 6 ლარით, ხოლო ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური ძაღლის, კატის და წვრილფეხა პირუტყვის შემთხვევაში განისაზღვრა- 5 ლარით, ხოლო მსხვილფეხა პირუტყვის შემთხვევაში - 10 ლარით. ასევე პროექტით დგინდება სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს'' მიერ პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველების ლეშის ერთჯერადი ტრანსპორტირების საფასური და განისაზღვრა ერთი ერთეული ძაღლის შემთხვევაში 60 ლარით, კატის - 40 ლარით, ამას დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური 5 ლარი, ერთი ერთეული წვრილფეხა პირუტყვის შემთხვევაში ლარი, ხოლო ერთი ერთეული მსხვილფეხა პირუტყვის შემთხვევაში 180 ლარით, ამას დამატებული ტრანსპორტის ერთჯერადი დეზინფექციის საფასური 20 ლარი.

დადგენილების დანართში ამოღებულ იქნა სიტყვა ,,ყურზე'', რადგან საჭდის (,,საყურე ნიშნის'') მიმაგრება ზოგიერთი ჯიშის ძაღლის შემთხვევაში არ არის შესაძლებელი. ასევე სრულად ამოღებულ იქნა პუნქტი, რომლის მიხედვითაც თავშესაფრის მესაკუთრის/მფლობელის სურვილის შემთხვევაში და წინასწარი განაცხადის საფუძველზე სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს'' მიერ კერძო თავშესაფარში

შეყვანილი ცხოველების იდენტიფიკაცია ხორციელდებოდა უსასყიდლოდ. ასევე შეიცვალა სააგენტოს მიერ ცხოველების დაჭერა-გაყვანის საფასური და განისაზღვრა ძაღლის შემთხვევაში 60 ლარი, კატის - 50 ლარი, მსხვილფეხა პირუტყვის - 150 ლარი, წვრილფეხა პირუტყვის - 100 ლარი.

დადგენილების დანართში სრულად ამოღებულია მე-6[2] მუხლის მე-4 პუნქტის ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტები და ამავე მუხლის მე-6 პუნქტის ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტები, რადგან ამ ფუნქციების განხორციელება სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს'' კომპეტენციას არ განეკუთვნება. შეიცვალა სააგენტოს მიერ, რეპელენტით ტერიტორიის დამუშავების საფასური, სამუშაოების კატეგორიების მიხედვით, ერთი კვადრატული მეტრის ფართობზე, კერძოდ, პირველი კატეგორიის სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 1 ლარით, მეორე კატეგორიის სამუშაოები - 2 ლარით.
შეიცვალა სააგენტოს მიერ ქვეწარმავლების დაჭერის საფასური, რომელიც, ნაცვლად 20 ლარისა, შეადგენს 30 ლარს ერთ დაჭერილ ქვეწარმავალზე.
ასევე შეიცვალა სააგენტოს მიერ ვეტერინარული მომსახურების საფასური, კერძოდ სტერილიზაციის ოპერაციის საფასური განისაზღვრა - 100 ლარით, კასტრაციის ოპერაცია ლარით, კომპლექსური ვაქცინაცია თავშესაფარში 30 ლარით ხოლო მისამართზე - 50 ლარით.

ზემოაღნიშნული ცვლილებების პროექტით შეიცვალა სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს'' მიერ გაწეული მომსახურების საფასურები და დაკონკრეტდა და დაზუსტდა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-141 დადგენილება.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.